გადავწყვიტე როგორმე გამეცნო, დავახლოვებოდი. მაგრამ საღ გავიცნობდი? ის ისეთ საზოგადოებაში დადიოდა, რომ მე იქ ლაქიათაც არ მიკადრებენ, ისეთ კლუბებსა და წვეულებებში იყო ხლომე, რომ მე შვეიცარი კინწის-კვრით გამომავდებდა... ფული არა მქონდა და შესაფერი შეძლება. არც ნაწილები მყვანდა. ვიცწოდი რამდენიმე ბერს, რამდენიმე მლდელს და რამდენიმე დიაკვანს, მაგრამ ისინი რას მიშეკრიცხნ?..

յե, Աեղցրեծազ, Աեղցրեծազ, ՍՇորյոտ Ծրալո-Կովեցօն
հան!

პავლემ კვლავ შესწყვიტა ლაპარაკი, პაპიროსს მოუკი-
და და ყველანი კიდევ ჩამოგვალიერა. ჩვენ გამოქანდაკბეჭ-
ლივით ვისხედით... თითოეულის ჩვენთაგანის გულის-თქმა
პავლეს ნაამბობს თაქს დასტრიალებდა...

— რატომ არ გეცინებათ ყმაწვილებო ჩემ მაშინდელ
საქართველოზე, განა გირობა არ იყო? ლიმილით შემეკითხა პავლე.

ჩვენ ჯერ ხმას არ ვიღებდით.
— საკუთრივო ორ არის — და არომატი სიჩრდე — სიყვარული.

— არა, საცინელი კია ჩემი მაშინდელი ყოფნა, მაგრამ რათა ხდება ხოლმე ასეთი მოვლენა, რომ ყოველივე ლოდი-

ის წინააღმდეგ კაცს ქალი უყვარდება, — ეს კი სწორეთ გა-
მოცანაა — ჩამომართვა სიტყვა პავლე და განაგრძია.

„ბერმა გამიღიმა. ერთ ოჯახში გაკვეოსალი ვიშოვნე. ამ
ოჯახშივე იყო გროვი ახალგაზრდა ქალი, ქალთა ინსტიტუტში
ნამყოფი. ბოლოს გამოდგა, რომ იგი ქალი ჩემი სატრ-
ფოს ნამხანაგარი ყრაფილა!... სიხარულის ცა გამეხსნა,
მაგრამ როგორ გამემხილა ამ უცხო ქალისათვის ჩემი გულის
ოქმა, ამას კი ვეღარ ვახერხებდი...

„უნდა მოგახსენოთ, რომ სილარიბესა და გაუბედვობას-
თან თვალ-ტანადობა კი კარგი მქონდა, გარდა ამისა ორი
სამი წლის განმავლობაში ცოტა გამოვიცადე, ბურსაკობას
გადავწიე, ლაპარაკი და სიტყვა პასუხი ვისწავლე...“

მე და ინსტიტუტია უკველ დღე ვხდებოდით ხოლმე
ერთმანერთს. თურმე საბრალოს შევყვარებოდი კიდეც და მე
სხვის სიყვარულით დაბრმავებული რას მიეხდებოდი!... ის
თავისითვის თურმე იხრუკებოდა და მე ჩემთვის... ვინც იყო
ის ქალი, ამის შესახებ მერე გაიგებთ ჯერ კი ქვემოთ მოის-
მინეო...

რის ვაი ვაგლახით გაფუბედე ჩემ ნაცნობ ინსიტუტიას
და ვსთხოვე გაეცნო ჩემთვის ის ქალი. საწყალი ინსიტუტია
მოკვდა, ჩაიფერფლა! — ძალიან გიყვარსო? ისეთის კილოთ
შემეგითხა, რომ ჩემ მეტი უკველა მიხვდებოდა, რა ძნელი
გასაგონი იქნებოდა მისთვის ჩემიგადაწყვეტილი,, „პოს“ თქმა.

უნდა მოგახსენოთ, რომ მე და ინსიტუტია ძალიან ხში-
რათ ვლაპარაკდით ხოლმე საზოგადოთ სიყვარულის შესა-
ხებ (ან კი სხვა რაზე ილაპარაკებენ ყმაწვილი ქალი და კაცი,
უკველაზე დიდი და ნეტარი გრძნობა სიყვარულია — მეტადრე
ნორჩი გულისათვის) და თამამათ ვუთხარი.

— მიყვარს ისე, როგორც მიწას ნამი და ირემს ულრანი
ტყე მეთქი.

— მაშ კარგი გაგაცნობთ, მაგრამ იმედი ნუ კი გექნე-
ბათ თანაგრძნობისაო... ყრუთ მიპასუხა და მომშორდა...

ამის შემდეგ მთელი ორი კვირა თვალით აღარ დამნა-
ხვებდა. წარმოიდგინეთ, ჩემი ტანჯვა. ქვეყანაზე ერთათ
ერთი არსება იყო, რომელსაც გავუზიარე ჩემი გულის
თქმა, რომელთანაც თამამათ შემეძლო იმაზე ლაპარაკი და
ისიც დავკარგე!... გამიმწარდა სიცოცხლე. თავს სასიკვდი-
ლოთ არ უნდობდი.

ორი კვირის შემდეგ მოვიდა ჩემთან ინსიტუტია.
გამეხარდა. მეგობრულათ მივესალმე და ცოტა ვუსაყველურე
კიდეც. საკოდავი ძალზე შესუსტებულიყო, თვალს ვერ მის-
წორებდა... ახლა კი მივუხდი გულის თქმას, მაგრამ... მე ის
მიყვარდა და რა მექნა?.., სიყვარული ქალისადმი ეგილისტო-
რი გრძნობაა, იგი ქა-კუთხედია ჩვენი „მე“ სი!...

— ვნახე, ყმაწვილო, თქვენი დულცინეია *)... ვუამბე
უკველაფერი!... ის თქვენ კარგათ გიცნობთ... თურმე მოსვე-
ნებას არ აძლევთ... სულ თვალწინ ქჩირებით... ნაწყვეტ-
ნაწყვეტით მითხრა ჩემმა მეგობარმა ქალმა.

— მერე? მითხარი კუველაფერი, მითხარი თქვენი ლვთის
გულისათვის-მეთქი აღარ ვასვენებდი.

— მე გირჩევთ იმას თავი დაანებოთ; თქვენი შესაფერი
არ არის... ვერც შესწედებია,,, მოკრძალებით მითხრა ტა-
სომ და თავი ძირს დახარა.

— მე გული მომრვიდა. ჩემ შეურაცყოფა კი არა, ამის
შეურაცყოფათ მივიღე ეს სიტყვები და თავ-დაუჭერლათ
ვუთხარი.

— ყმაწვილი ქალი ყმაწვილ ქალის შესახებ თავისს დღე-
ში კარგს არ იტყვის მეთქი.

— მე თქვენ დაგიშტკიცებთ, რომ სკოდებითო. წამო-

წითლებით მითხრა და მეირე ათაბში გავარდა...

ეს, რაღა ბევრი გაგიჭრებოთ. ვისაც კუნძულების შეკვეული
ბია, იგი წარმოიდგენს რა ცეცხლშიაც ვაჭრების შეკვეული
ვისაც ჯერ არა პყვარებია, იმას სასაკილოთაც უკანას შეკვეული
რებულის ყოფნა და ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებ, მოკლე
მოვს ქარი.

ის ქალი გავიცანი... ერთ-ორჯერ ველაპარაკე. გულახ-
დილათ ვუამბე ჩემი ტანჯვა და ვსთხოვედი ჩემთვის დღენი
არ გაემწარებინა.

იმან უზრუნველათ გადიკისკისა და თავისს მხრით მთხოვა:
მასთან ნაცნობობა შემეწყვიტა... ისე დასრულდა ოფი-
ციალური მხარე ჩემის სიყვარულისა, მაგრამ ჩემს გულს კი
ვერსად გავექეცი, ვიდრე დრომ და ცხოვრებამ ჩემ პირველ
გრძნობას სიმწვავე არ გამოაცალა...

დიახ, ღრო, უამთამსვლელობა, ყველაფრის წამალია
ჩემო ბატონებო, იგი, როგორც კარგი დოსტაქარი ამოსჭ-
რის ხოლმე გულიდან გრძნობის სიმწვავეს, მაგრამ ნაგრძნო-
ბი, ნაკვალევი კი ისევა რჩება გულში. დრო ფერფლავს ნა-
ლვერდალს, აშრობს მღინარებს, აოხრებს სოფელ-ქალაქებს,
მაგრამ ქვეყნის ზედა პირი კი მოწმეა მათის არსებობისა!

შობა ღამეც მოწმეა ჩემის მღლებრე ცხოვრებისა!...
ხელ ჩაქევით წარმოსთქვა პავლემ და ჩაფიქრდა.

ქარი გაჯავრებით აწყდებოდა კარ-ფანჯრებს და ისე
გმინავდა, როგორც მომაკვდავი...

იმ ღამესაც ასეთი ქარი ჰქონდა — განაგრძო პავლემ —
მაგრამ ასეთი ბინა კი არა მქონდა!...

ის იყო 187... წლის შობა ღამეს, ერთის წლისა და
სამი თვის უკან მას შემდეგ, რაც მე და იმან ნაცნობობა
შევწყვიტეთ,, როგორც დაჭრილი ნაღირი აღარ გამოდის
ხოლმე ბუნაგიდან, ისე მეც არა ვშორდებოდი ჩემ ბინას.
მთელი დღე თოთქმის პირქვე ვეგდე ჩემ გამხმარ ლო-
გინზე და შავი ფიქრებით გარე მოცული ჩემსავე თავს ვეჩ-
ხუბებოდი... ყველას ჩამოვშორდი, ყველას დავაკიშტდი და
მეც ყველა დავივიწყე. ამ ხანებში პოლიციასთანაც მომიხდა
შეტაკება და ეს უფრო აორკეცებდა ჩემ გავირვებულ მდგო-
მარებობას...“

სასტიკი ზამთარი იყო. გაავზნევებული ქარი თავზე მან-
გრევდა რთას, რომელიც რთას კი არა საქამეს უფრო
გავდა და რომელიც ტალასის ქუჩაზე ერთი სომხის რთა-სარ-
თულიან სახლის სხვებში იყო მოფარული. ღმის თერთმე-
ტი სათი იქნებოდა. მე ჩვეულებისამებრ ტახტზე ვიყავ წა-
მოწოლილი, ბეჭებზე ჩემი გახუნებული პალტო მეგდო. სიკი-
ვისაგან ვცახცახდი. ქარი კი... შეუბრალებელი ქარი არ
ისვენებდა: გიყი მოზევრით აშვებოდა ჩემის ფაცეს კარებს
და წუწუნით შემოქმუტენებდა ფარლალობა კედლებიდან. ისე
გავიყინე, რომ გადაბრუნება-გადმობრუნების თავი აღარ
მეონდა. ფეხები დამაზრი. ასე მეგონა ხელ-ფეხი ჩემი აღარ
არის მეთქი. ვიდევ ტახტზე რუმბივით გაგუდული და ყურს
ვუდებდი სახურავიდან ახეთქილ უქსტის ფხაკებს, ქარის კო-
ჭიანს. არაფერზე არ ვთიქრობდი საზრიანაო, მხოლოთ ათას-
ში ერთხელ გამირბენდა ხოლმე თვალ წინ იმის სურათი,
მაგრამ ისე გუნდოვანათ, რომ ვერ ვარჩევდი სახის ნაკვეთებს..

ჩემი იაფ-ფასიანი ღამპარი საცოდავათ ბეუტავდა, ფიქ-
რები მეხლართებთდა, ნახევარ აღამიანი ღა ვიყავი ..
უცბათ შემომესმა კარების კაკუნი. ყური წაუუგდე. კა-
კუნი კიდევ გამეორდა...“

ბუზღუნით და ვაი-ვაგლახით წამოვდექ ლოგინიდან
და დაკოუნჩეულმა ძლივდლივით აფუგდე კარების რაზა.

ოთახში შემოვიდა თავ-პირ ახვეული თბილისა და გრ-
ძელ წამოსახამში გახვეული ქალი. მე შევკროთ, მოჩვენება

*) დულცინეა დონკოსტის სატროს ერქვა.

მეგონა, ხოლო ოოცა თავისი მოიხსნა, ჩემ წინ იდგა ის, ჩემი სატრფო!

— თქვენი სატრფო! ანგარიშ-მიუცემლა წამოვიძახეთ ჩვენ.

— დიალ! ჩემი სატრფო—განაგრძო პავლემ. მაგრამ იგი მარტო არ იყო, გულზე მაგრა მიკრული პყავდა პაწია ბავშვი, თავისი უკანონო ვაჟი... .

მე ეძა ორ მემორილება, ბატონებო, გამოვსთქვა მოელი ის ათას-ფერი და ათასგვარი გრძნობა, რომელიც ამ წამს ჩემს გულში აღვივდა... ეს იყო გრძნობა სიყვარულისაც, სიძულვილისაც, შეურაცყოფილობისაც, დამცირებისაც, ამაღლებისაც, დაკარგულის იმედის დაბრუნებისაც და კიდე რა ვსთქვა?... ეს იყო სიკვდილ-სიცოცხლის გრძნობა...

თავ-ზარ დაცემული ვიდექ მის წინ და ენა ვერ მომებრუნებინა, ისიც ხესავით გამშრალიყო...

— რისოვის მოხველით, ქალბატონო... თქვენმა ფუფუნების მომზირალმა თვალებმა ნეტა როგორ შეამჩნიეს ჩემი ქონი-მეთქი... ძლივს ძლივობით წამოვილუდლუდე და ბარბარით ტახტზე დავჭრი. მეშინოდა არ წავქცეულიყავ.

— თქვენს მეტს მე არავის ვკარებივარ... აი ეს შემინახეთ! ჩემი შვილია, ჩემი ღვიძლზე ნადები... თქვენც ნუ გამწირავთ!... ქვითინით წარმოსთქვა მან, ბავშვი გულიდან მოიხსნა, ტახტზე დასდო, მერე სახე გადაუხსნა დადხანს, დიდხანს ჩააშტერდა, მაგრათ ჩაკურცნა, ერთხელ კიდევ ჩაიკრა გულში და ქვითინით კარში გავარდა...

— შემინახეთ... მოუარეთ... ხვალ ყველაფერს გაიგებთ! შემომძახა კარებილან და კიბეზე დაეშვა...

გავშრი... გავბუცდი. ღიღებანს ვიდექი გაქვავებული აზრი ვერ მომეცრიბნა. ისევ ბავშვის ტირილშა გამომათხოვა...

— წავიდა? მერე ეს ბავშვი?... ოხ, ღმერთო ჩემო, რა განსაცდელია!! მე... მე არ გაგწირავ, ჩემო ღვთაებავ-მეთქი ხარივით დავიგმნე და მზათ ვიყავ იმ დროს ფეხებში ჩავვარდნოდი იმას, რომლის სურათსაც ოთხი ხუთი წელიწადი გულით ვატარებდი, მაგრამ გვიან და იყო .. იგი სამუდამოთ დაიკარგა ჩემთვის!.. ჩემ გმინვაზე ბავშვი გაჩუმდა და თავისი შევნიერი თვალები შემომანათა. იღიმებოდა. ტურფა რამ იყო, ცწორეთ ღამუა ჩიტა ჰგავდა!...

ვუყურე, ვუყურე და დედაკაცივით ქვითინი ამოუშვი... ვინ იცის რამდენი ადამიანი იღუპება ჩვენის უსამართლობის, ჩვენის გულქვავობისა და დაუნდობლობის გამო?!,..

ცრემლებმა გული გადიმიანეს, ფიქრები დამიწყნარეს და ახლა უფრო ნათლათ დავიწყე აზროვნება...

ეს რა ამბავია მეთქი ჩემ თავს—ვფიქრობდი... სად წავიყვანო ეს ბავშვი?.. სად წავიდა ამისი დედა? რამ აიძულო ბავშვის ჩემთან მოყვანა, როდესაც სხვაგანაც შეეძლო მიბარება-მეთქი? ვეკითხებოდი ჩემ თავს და ათასგვარ, საგონებელს ვეძლევოდი... ქარის კი, თოთქოს დამცინისო, უფრო ძრელით არახუნებდა ჩემის ოთხის კარებს და მის ქვითინს ბავშვის ტირილიც ბანს აძლევდა.

კანკალით მივუხლოვდი პაწიას: ხელში უნდა ამეყვანა, დამეჩუმებინა, მაგრამ... ღმერთმა დასწყევლოს ეშმაკი და ადამიანის გულზეიადობა—უცბათ საშინელმა ფიქრმა გამიელვა თავში... ეს ბავშვი ჩემს მოდალატეთ, ჩემის უბედურების მიზეზათ ჩავთვალე... თუ არა ის, ამ ბავშვის მამა, იქნება ქეთო ჩემი კოფილიყო მეთქი... საიდან, როგორ? ის კი აღარ მიფიქნია. დაკარგულის ბედნიერებისა და შეურაცყოფილობის გრძნობანი გულზე ხომაწვენ, ტვინი ამერია. ერთ ხანს მზათ ვიყავ ამეღონ ეს პაწია უდანაშაულო არსება და გველის წიწილივით ფეხ ქვეშ გამეთელა. აი, წავატანე კიდეც

ხელი, რომ ფანჯრიდან ქუჩაში გადამესროლა, მაგრამ მაუს-ლოვდი თუ არა, ისეთის ნეტარის ლიმილით გადმომხედა, რომ სულ თვალთ დამიბნელდა...

ერთვანები

გამოვერკვიე. ბავშვი შელავზე მყანდაც ჭაჭაჭენის შეს თახაში ვატარებდი. ეძინა მშვიდათ, როგორც ცის ანგელოზს. მისმა უმანკოებამ დამიხსნა კაცის კვლისა და დაუსრულებელის სინიდისის ქენჯნისაგან...

შევიძრალე კი ბავშვი, მაგრამ არ ვიცოდი რა მექნა, როგორ მომევლო, ვისოვის მეჩვენებინა, ვისოვის რა მეტქვა?

გათენებამდის თვალი არ მომიხუჭნია, ფიქრებმა დამასცეს...

გათენდა. ქარი ჩადგა. დათოვლილი ქალაქი გასპეტაკებულიყო. ღიადი ღლესასწაულის მომსწრე ხალხი ქუჩაში რეოდა. მე სასოწარკვეთილებამ შემიძყრო

ამ დროს გაიღო კარები და ჩემსას შემოვრდა ჩემი ნაცნობი ტასო. (ასე ერქვა ინსტიტუტებს).

ტასო გაფიორებულიყო. კანკალებდა. ჩემთან შემოსვლისათანავე მუხლ თ მოეცეა, სკამზე დაეშვა და შეწუხებულის ხმით მითხრა...

— ყველაფერი გათავიდა მისოვის. ქეთოს წუხელის თავი მოუკლავს... ახლა იმათვან მოვდივარ... აპა, ეს წერილიც!... ნატომ წერილი გამომიწოდა, წერილში ეწერა.

“ნატო! ეს არის ახლა მივიყვანე ჩემი შვილი, ჩემი უკანასკნელი ნუგეში—შალიკო პავლესთან, სახოვე ჩემ მაგივრათ: მოუაროს, აღზარდოს ჩემ სახსოვრათ, თუ მართლა უანგაროთ ვუვარდი... სხვები მომიკლავენ.. მე ცხოვრებასთან ყოველივე ანგარიში გავწყვიტე. ვიდრე ამ წერილს წაკითხავა, რქება ცოცხალიც იღია ვიყო. ხალხმა, ნათესავებმა, დედ-მამამ მაიძულეს თავი ცომეულა. ოხ! რა უსამართლოები არიან!.. მშვიდობით საუკუნოთ! ჩემი შვილი დამიკუნებენ. ვაი იმის უბედურ დედას!... ვინ არის ჩემი შვილის მამა, იმას არ გვტყვი და ორც არავინ იცის. დევ, იცოცხლოს პატიოსან სახელ ქვეშ, დევ იყოს ჩემის ცოდვის მზიდველი ამინის უკუნისამდე”.

წერილის წაკითხვის შემდეგ თვალთ დამიბნელდა და მწუხარების ქვითინი ამომსედა გულიდან... სამუდამოთ დავკარგე ის ასება, რომელიც ასე გაგიუებით და ასე ულოლიკო მიყვარდა!

როცა დავმშვიდი, ტასომ ბავშვი გამომიწოდა და გასამნევებელის კილოთი მითხრა.

— ი, ამითი ვინუგეშით, გავზარდოთ და შვილივით გვიყვარდეს...

თქმა აღარ უნდა, რომ ტასოს ისევ კუუვარდი და თაკისს დახმარებას, თავისს მეუღლეობას მპირდებოდა..

— მე მაღლობის თვალით შევხედე და ბავშვს ხელი მოვკიდე.

— ეს იყოს თავმდები ჩვენის მომავალის ცხოვრებისა შეთქმი—წაგიდუღენ და ტასოს ქვითინით მხარზე დავვეყრდნე...

„,ემ—ქრელია წუთი სოფელი და უფრო წერელი—აღამინის გულის-სქმა—ამოხსრით განაგრძო პავლემ—აღამინი მონაა გარემოებათა, მხდალი შში შარა, არსებაა.—ახლა იანგარიშეთ წრე, საზოგადოება, როგოლშიაც მიყველება ესა თუ ის ადამიანი და ხელში დაგრჩებათ ისეთი „გმირი“, როგორიც მე და ათასი ჩემისთანები არიან.

ტასოს თავ-განწირულებამ ფრთხები შემასხა და სულ სხვა-გვარათ მომართა ჩემი გულის-თქმა და... თუმცა ტასოს მშობლები დიდი წინააღმდეგი იყვენ ჩვენის შეუღლებისა, მაგრამ დაგძლიერ ყოველგვარი შევიწროება და ზემოთ აღწერილ ამბის შემდეგ კვარი გაღანიშერეთ...

, რასაც აქა ხედავთ ბატონებო, თითქმის ტასოს, კეკეს დედის, მოტანილია. ჩემი ბევრი არა ურევია რა, თუ, რა-საკირველია, არ ვიგულისხმებთ იმ გარემოებას, რომ ტასოს ნიოხსავებისავე დახმარებით მე მაღე კარგი აღილი ვიშოვე და თვიურათ კარგი ჯამავირი შემომქონდა სახლში...

პირველ ხანებში მე და ტასო ბედნიერათ ვცხოვრობდით. თუ ბედნიერი ცხოვრება მარტო ფუფუნებაშია, მაგრამ ბოლოს კი აფიშალენით...

ქეთოს შეილი მე ძრიელ მიყვარდა!.. სიცოცხლეს არ დავზოგავდი მისთვის და ეს კი საწყენი შეიქნა ჩემის ცო-ლისათვის. ეპვემ შეიპყრო იგი: მებუზღუნებოდა, მეჩხუბებოდა ხოლმე... ღილი ეგოისტი კია ადამიანი, თუ თქვენ ცამეთანხმებით!..

— ჩემზე უფრო ძრიელ შალიკო გიყვარსო! მიხირდებოდა ტასო და იმდენ ხანს მეჩხუბებოდა ხოლმე ვიდრე, ბრაზი კრემლებით არ ექცეოდა და გაჩენის დღეს არ მაწყვლინებდა ხოლმე.

ვერა ვუშველე რა. ვერაფრით დავამშვიდე.

იბობოქრა, იბობოქრა საცოდაში და ერთს ჩემთვის უბედურ დღეს! დამწვარი სანთელივით კი ჩიქრა.

შალიკოც მაღე მომიკვდა. ბოროტებმა ჩაგონეს, რომ იგი ჩემი შეილი კი არა, სხვისი ბუში იყო. ინაღვლა უბედურმა ბავშვა და... ძოულ ოდნელათ ხელიდან გამოტრინდა, თხ, ადამიანებო, რა უეუბრალებელნა რა უმართლონი გართ! ნაღვლიანით დააბოლება პავლემ და ღრმათ დაფიქრდა.

ნეტა მე რეათ ვიცოცხლე ამდენ ხანს? რას შველის ჩემ დაკოდელ გულს თბილი ბუხარი, მდიდრული ბინა, ხელ-ქვეითების თვალთ-მაქუობა და ცბიქრობა?. წამოიძახა პავლემ კარგა ხნის დუმილის შემდეგ და თითქოს რეაც მოაგონდა განაგრძო.

— მეც ადამიანი ვარ, უსამართლო—ნაღვლიანის ღიმილოთ გაისწორა სეტუატა პავლემ—ჩითების მავიწყდება ჩემი კეკე?

მოღი აქ შეილო კეკე!.. მიიხმო თავისითან კეკე მო-ხუცმა, წელზე ხელი შემოხვია და თვალებში ჩამტკრდა...

სიჩუმე ჩამოვარდა. ნაამბობმა გამაბრუა: ასე მეგონა, რომელიმე ფარდის უკანიდან გამოხტება პავლეს ერთ ერთი საყვარელ არსებათაგანი-მეტები... ტანზი მაურეოლებდა... ვერძნობდი, რომ შობის წინაღამე ჩემთვისაც დაუვიწყარა შეიწნებოდა...

ბუხარი საყვარლით გიზგიზებდა, გარეთ კი ქარი ისევ ღმულდა. მღუმარებათ გადაქცეული ნიკო და ტატო ერთმანერთს გაკეირვებით შეპყურებდენ. მე თვალს არ ვაშორებდი კეკეს... ის იყო ჩემი გულისთქმა, ჩემი აზრი, ჩემი იდეალი!..

„დამნაშავეა, ბატონებო, ის დედმამა, ვინც შეილებს ცხოვრების ავსა და კარგს უმაღლეს, ვინც ადამიანებათ კი არა ტიკინებათ ამზადებს მათ.—დაარღიო სიჩუმე პავლემ—მე კი არა დამიმაღნიარა ჩემის შეილისათვის, იცის ჩემი ნაკლიც და ცხოვრების ავკარგიც... აფასებს ჩემ პულ-წრფელობას და გულ-წრფელადც შექცევა. მე მაღლობელი ვარ ამისათვის... დღეს ჩემმა გოგონამ გამომიტაცა, რომ ერთი თქვენთაგანი უვარს... შობა ღამეს ჩემს ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და მინდა ჩემმა შეილმაც შობა-ღამიღან დაიწყოს ცხოვრებათ...

მე გულმა ცემა დამიწყო, თვალებში სიხარულის ცრემლები მომაღგა... იმედი მომეცა... კეკე ბროწყულივით გა-წითლდა და მამას ხხარზე თავი ღააყრდნო... .

ნიკო ღიმილით ზეზე წამოდგა.—მოღი შეილო, ღმერომა გაგიძენიეროთ... მიჭმართა პავლემ ნიკოს და აურემლებულმა ქალისა და ვაჟის ხელი შეართა...

დარ მისლოს, როგორ გამოველ პავლეს სახლიდან... თვალ ცრემლიანი გავრბოლი ქუჩაში და გულ-წრფელ-ული თავზარ-დაცემული ვლრიალებდი: ბელინიერმა ტრდემჭეშემარტი კო-მეტები და მე კი?... ია უკალაძე.

სამოგლოს ცაზე

ახალი იმედი ძეუდ ჩატეტებში. განესხვარდი გაექანეს რდი! ექცევ შექმნის. ტრაგედია დრამი ტოვულ ს ზოგადო დებაში. თრთავა იანუსი, ასე უნიჭო რაინდი. გულ-წრფელი ბერი, „იგერიაში“. დაღური ახალი წილის წისათ. აღმოჩენის გვარამაძისა.

თფილისი შეიმოსა, თფილისი აღზდგა, თფილისი განახლდა! არ უნახავ ამერ-იმერთს ყველა ეს შახ-აბაზის შემდეგ. მოხდა ღიდებული ამბავი, განხაცვიფრებელი, გამხარებელი გულისა, დამყუჩებელი წყლულისა რაღა ესთქვა მაზე, რაც უკვე იცით, რაღათ ვაჭო ის, რაც თვით იქცის. ღიდებულს აღარ უნდა ხოტა, საკვირველებას განცვიფრება მართებს და აი ჩენეც ღიღებ ვდევერთ თფილისის საბჭოს წინაშე თვალ-ლებ და პყეყტილნი, ხელებ ზეცა აპყრობილნი. ვხარისხ ძეელის გარდაცვალებას, ვგალობთ ახლის დაბადებას. იშვა ახა-ლი საბჭო ახალგაზდათაგან. და ვითრცა ახალგაზდანი, რა-საკვირველია, ახლის წინამორბედნი, ახლის მოციქულნი და წინამდვარნი იქნებიან. ამაში ეცვი თვით ლიბერალ „ცნ. ფურც“. და „ნოვ. ობოზრ“. საც კი არ დაებადათ! არა, ისე-ნი ჯერ ისევ ჩანასხს ეგებებოდენ და ახლა ხომ მის სრულს ხატებათა წინაშე მუხლ მოღრცით ილოცვენ! ასეთია გზა უკველი იერუსალიმს გლოცელისა. იღსრულდა უაღრესი წა-დილი „ცნ. ფურც“. საც: თხუამეტი მოციქული შემოხსენებულ წმინდანებში ქართველიც ურევია! ეს გორელი გამარჯვებია ენის ქავილისა, ეს მთელი ნაპოლეონბათა ქართველებისა! დევ მათაც ილოცონ იქ, საცა ზრაველნიარიან, და ჩენ კი მხოლოთ ტაში გვადევს კისრათ! მაშ ტაში და ვაშა ახალ საბჭოს თბილისის საკურთხევლისას!

მაგრამ ესც კი უნდა ვიცოდეთ, რას ქვით ახალი და ძველი. მეტრიკული წესით ახალი ძველისაგან წვერთა, წელთა და კბილთა ფერ რაოდენობით ირჩევა. ამიტომ წლევან-დელი განახლებული საბჭო ძველისაგან ასეთივე ფერ-უმარილოთ განსხვავდება. წინანდელებს მაგ. აღარ ქონდათ წინა კბილები, რაცა ამბარის სტუმრებისთვის ვერაფერი ლისტებაა, ახლებს კი თან ახლავს წინაცა და სათხილეც. ძველს თვეში აქვს კაღარა და ბნელაში შეფარებასა რჩეობს, ახალი ჯერ არ შეფერილა და ჯერჯერობით მზეზე გამოლის. მაგრამ ნა-თესაბა კი მათში კისერი ყოფილა და აი კისერმა მაინ-ცა და მაინც მოითხოვა თავისი სისხლი და ხორცი, კვიცი გვარზე ახტა და ახალს კისერზე ძველი თავი შესუბდა. ახ-ალმა ძველი ნაყოფი გამოილო. აირჩის თფილისის პატრონ-მფარეველით თ. აღლუთინს კი-ღოლგორუკვი, რომელიც ძველთა ძველი მესანგლეა თფილისისა. ასე და ამგვარათ ახალ იმედებს ძველი ჩატეტები ჩატეტები. ახალმა ფერებს ძველი გამოეცა არა არა. ჩენ დარწმუნებული ვართ ძველი ნამ-უნი ახალ ფერებსა კარგათ შეესისხლხორცება, ვინაიდან მათ ერთი და ივივე ნიადაგი ზრდით, ისინი ერთი და იგივე ბალის დამამუნებელნა, იქნებიან, მაგრამ აქ საქმე იმედებია, რო-მელსაც, ეცვი არ არის, ახლაც მოცელის არ ღილაპილი „ცნ. ფურც“. და „ობოზრენიე“. მაშ მიულოცოთ მათ მომავალი დასხლი! ახალი მედებისა ძველ ჩატეტებში, ხოლო ჩენ კი ჩავიმლეროთ:

გისართდე, ქრისტენნა,
განახლდა თფილის ქადაქი,

სოდოდაქისთვის მეფერნე,
ნახადოგვისთვის დალაქა!

ახლებმა თუ ძველი მოიძება, ძველები ახალს გვიქადინ. აგერ ეს ერთი ხანია ღიღი აურზაურია რამდენსამე კაბინეტ-ში. ხნავენ და სთესავენ, ბარვენ და რწყავენ, ხნავენ ენით, სთესავენ ყანყრატოთ, ბარვენ კალმით და რწყავენ მენლით. „Сколько ихъ, куда ихъ гонятъ, что такъ жалобно поютъ?“. დიახ ვინ არიან ისენი, საით ერევებიან - მათ და ან რას სტირიან ასე მწუხარე ხმით? ესენი არიან სამეურნეო კომისიები, ხოლო საით ერევებიან მათ, და ან რისტვის გო-დებენ ასე მგლოვარეთ, ეს კი სწორეთ . გამოუცნობელია თუ ზოგიერთ მათგანს თავისი გულწრფელობით არ აეხსნა «что такъ жалобно поютъ», მნელი მისახვედრი იყო, ვის მოუწადინებია ქვეყნის ხსნა და შველა. სხვათა და სხვათა შორის წარსულ თვეების კრებებზე თბილისში სამეურნეო კო-მისიაში ერთმა (ლიახოვსკიმ) ედისონმა ხაფანგები ურჩია სა-ქართველოს სტატილოს და სხვა სანოვაგეთა ქურდების და საქერათ, მეორემ, ბატონები, გუთანს ლირლიტი გამოუცვალა, მესამემ კას ზარბაზნები ესროლა სეტყვის შესაშინებლათ, მეოთხემ ქერში კაბუსტი დათხა, მეხუთემ ხალხს შვიდობა, დღეგრძელობა, ჯანმრთელობა უსურვა და ყველამ კი ერთოთ შემოსძახეს განჯინ ქარდი სრლილიბევ, სიმშილო, ქურდობავ, ნაცარო, ობო, კირო საქონლისაო, კბილო ნაირისაო და აღივსე ქვეყანა სათნაებით, სიყვარულით, გონებით, ქონებით, სიმდიდრით!

ოხ, განკან ქარდი განკან ქარდი! ვუსურვოთ ჩვენც კაბინეტის გუთნის დედა-მებრეებს!

სოფლის მარილათ გარტო ისენი არ მოგვივლინა ზეცამ.
გვყვანან სხვებიც და მათ შორის ჩვენი დრამატიული კომი-
ტეტიც. სრული ორი თვეა, რაც ეს კომიტეტი და მის მიერ
მიწვეული ათიოდე კაცი ექცევნ შექსპირს, ნამდვილ შექს-
პირს! მათ ბევრნაირი ხრიკები იხმარეს ღიღებული დრამა-
ტურების საძებნელათ და პრემიაც კი დანიშნეს მისთვის,
ვინც შექსპირის შუბლით წარსდგება კომიტეტის წინაშე, მა-
რა შენ არ მომიკდე, ვერა ეშველათ რა ვერც მათ და ვერც
საზოგადოებას, მათ მიტომ, რომ თურმე კომისია თვალებ
დახუჭული უყურებს ყოველ მისაწვევ ბარათს საპრემიო პიე-
სების განსახილველათ და საზოგადოებას კი მიტომ, რომ
გულის ფანკუალით ელის, აგერ საცაა ჩვენი კომიტეტი წაავ-
ლებს ყურებში ხელს მანქანებას და გაღმოვვიგდებს ქართველ
შექსპირს. ხოლო უფრო მეტ ტანჯვაში არიან ინკონიტო
ავტორები (წარდგენილია ცხრამეტი პიესა) აცა ან ეხლა მო-
გვეხლება დეპეშა პრემიის მისაღებათ ან ეხლაო.

შეიცოდე, უფალო გამხილველი კომისია, რომელმაც
იტვირთა საქმე სახელისათვის და ორა საქმისათვის! შეიბრალვ
მონანი შენი ავქსონნიც, რომელთა ტანჯვა თვით ატე-
ლოს ვაებას აღემატება!

ლმერთო, მოგვე შექსპირი!

* * *

იმავე დრამატიულ საზოგადოების გამგეობაში წარსულ
კვირას პატარა რრაგედიაც მოხდა. იყო საზოგადო კრება,
რომელზედაც, ცოტა არ იყოს, მოულოდნელათ ასტყდა ერ-
თი ვაი-უშველებელი და ორონტრიალი. დაირღვა მცნება,
დიდ-პატარაობისა ჩინ-წლოვანებით. ეს უპირველესათ შენიშ-
ნა ერთმა, მოხუცმა რომლის აზრითაც ჭეუა ჭალარაში ყოფი-
ლა. მან მოისურვა გაჩქმება მათი, ვინც ნოეს კიდობნიდან არ
იყვენ გამოსულნი! მარა, შენ არ მომიკვდე, მისმა გულის
წყრომამ მაინც ვერ დაიკვა შეუდროება, შშვილობა და სათ-

ნოება გამგეობისა, რომელსაც სურდა ცხრა-კლატულში ზე-
ენახა ზოგიერთი ამბები. ყველაზე მწვავე კამათი კი გამოიწუ-
ვია ორტისტთა აკარგიანობის, მათის მდგომარეობის ფაზე და
და გაცნობამ. ის აქ კი განრისხდა თვით ღულტეროლი და
გრეგორი კამ, იკექა მეხმადა გაინაბნენ, იცით ვინ?; საშობ-
ლოს!“ გმირი ხინშია შვილი თვისი თვეგადადებული რაინდო-
ბით, გმირთა გმირი და პირდაპირ ოტელო, აკოფა თვისი ენა
მახვილობით, „ბიძია!“ თვისი გულუბრყვილობით და სხეანი და
სხეანი, რომელნიც ასე გვიღალადებენ სცენიდან პირადობის
დაცვას, პირდაპირობას, პირუთვნელობას. დიხ, ესენი გაი-
ნაბნენ სწორეთ მაშინ, როდესაც ბ-ნმა რევისორმა, ვალერიან
გუნიმ, საქვეყნოთ გამოაცხადა: ჩვენი ორტისტები ისედაც
თავაშვებულნი არიან და ოქვენ მათ ესარჩელებით, რომ უფ-
რო გათამამდნენო?“, ეს ესმოდათ მსახიობთ. ისენი ყურობ-
დენ! აქედან ნათლათა სჩანს გათი „თავაშვებულობა“ ბ-ნ
რევისორის წინაშე. ოხ, ძნელი ყოფილა მათთვის იუპიტე-
რის რისხა, ვისაც ბედმა წილათ არგუნა მორჩილება კუ-
პის გულისათვის!

კარგია კიდევ, რომ ამ ქვეყნათ ყველა არ დაცემულა
სულით და არ ეკითხება კუპს საეჭვო საქმეში. ყოფილან
გმირნი, რომელნიც შეურაცხყოფას, რაც უზღდეთ, არა-
ვის აპატიიებენ. სეთი გმირი გამოვიდა „ცნობ. ფურ“. მას
„ივერიამ“ აწყენინა. და ისე აწყენინა, რომ ოვითონაც არ
ელოდდა, თუ ავლაბრული სკოლა ამისთანა რამეს. შეასწავ-
ლიდა ჩევნ მათუსალის მტრის შესამუსრავათ. „ცნობის ფურ-
ცელმა“, საწყენი იწყინა, მოინდომა მტრის გადახდა, სისხ-
ლის აღება და ბევრი ფიქრის შემდეგ. ასე შეუთვალა: ჩევი
სიჩუმე იყოს ოქვენი პასუხიონ“. ესეც ერთნაირი მოდაა გა-
მარჯვებისა. ესეც ერთნაირი სისხლის აღებაა.

მაგრამ ამაზე ჩვენ აღარის ვიტყოდით, თუ თვით „ცნობის ფურცელსავე“ არ დაერღვია თავისი აღოქმა სიჩქმისა. თითქმის იმავე კვირაში ველაზ მოუთმინა მას გულმა, გატეხა ფიცი და გამოეხმაურა „ივერიას“ (იხ „ცნ. ფურ.“ 2000 წ.-ში წერ. სიტყვასი). რას მიეწერება ეს მოუთმენლობა, იმას ორმ „ცნობ. ფურცელმა“ სიჩქმე, ვითარცა იარაღი სისლის აღებისა, აღლარა სცნო აწინდელ ბრძოლის გამოსაღევათ? ან იქნება სიტყვა სხვაა და „ცნობის ცურცელი“ სხვა? ამ ორში ერ-ერთია შართალი. ან სიტყვას „ცნ. ფურც.“ ში თვისი განსაკუთრებული „ფურცელი“ აქვს, ე. ი., ერთს გაზეთში ორი რედაქციაა. (ის რედაქციის მხრივ ლაპარაკობს) სხვა და სხვა აზრისა, ზომისა და ტაქტიკისა, ან არა და „ცნ. ფურცელს“ შართლაც უგვრძნია, რომ დღევანდელ ბრძოლაში სიჩქმე ვერაფერი იარაღია მტერთან საბრძოლველათ.

Յորվել Մյամտեցքա՛ն գա՞նցեղու ռարտացա օանցեսօս, Ցյուրց-
Շի ղեցիկա ռաօննօ!

* *

მაგრამ რაინდობაში მას „არც,,ივერია“ ჩამოუვარდება.
ის თუ იტყვის რასმე გულწმინდათ, ის თუ დასწერს რასავ,
სრულებითაც არ ეკითხება გონებას. არა, ის მისდევს ერთათ-
ერთ გრძნობას და მთვარის ბრუნვას: განსაციითრგებელია მი-
სი „ბერის“ გულწრფელობა გაზეთის 269 №-ში.

ისტორიული ცნობა

- ვინ შეჰქმნა ჩვენში კულტურა, - თავადშავ
 - არა.
 - აზრი აურმა?
 - არა.
 - გლეხმა?
 - არა.
 - მლოდელმა?

— არა.

— მაშ ვინ?

— ქართველმა; ქართველის გენიოსობამ.

— რა არის კულტურა?

აქ ისა ხსნის, რა არის კულტურა, და გამოდის, რომ კულტურა ყოფილა არც მეტი აოც ნაკლები ორი გირვანქა ხიზილალა. შემდეგ განაგრძობს:

— ვინ დაიცვა ესრეთი საწადიერი ანდერძი და ქართული კულტურა?

— რასა კვირველია, იმავ ქართლოსიანმა, იმავ ქართველმა ერქა, ნიჭით და ძალ-ღონით აღსავს ამერ-იმერმა.

— ვინ შეუწყო ხელი ამ ან დერძის და ქართულ თავი-სუფალ კულტურის დამხობას?

— ვინ უდალატა მეათე საუკუნეში საქართველოს მიწების შემკრებელს და სამეფოს გამაეროიანებელს ბაგრატ III-ეს?

— რატი ორბელიანმა, კახეთის თავად-აზნაურობამ.

— ვინ უდალატა საქართველოს გამაეროიანებელს და-ვით მეფეს?

— ჩოლოყაშვილმა.

— ვინ უდალატა დავითს და ვინ წამოუძლვა მთიულეთს თაორის ხანებას?

— შალვა ქვენაფლაველმა, ლარგველმა.

— ვის ვერაგობით მოსწყდა სამცხე და კლარჯეთი ქართლის ტახტს?

— გაიძერა ათაბაგის ვერაგობით.

— ვის მტარვალობით გამაპმადიანდა მესხეთი?

— იმავე ათაბაგებისა.

— ვის ბელადობით დააარსა შაჰაბაზ I-მა კაკ-ელისენის (საინგილოს) სასულთნო?

— თავად ვახვახიშვილისა, რომელიც სულოანადვე დაიდგინა.

— ვინ უდალატა ქართლ-კახეთის გამაეროიანებელს ერეკლე II-ეს?

— ალექსანდრე ამილახვარმა და მასთან იმ კაცებმა, რომელნიც შემიანობის დროს სამშობლოდებან გაიქცენ, გავარდნენ და ახლა, შშეიღობიანობის დროს, დაბრუნება და ბატონობა მოინდომეს

— ვინ იყვნენ ისინი, რომელთაც „არლარა აქუნდათ სიმტკიცე სჯულისა და მეფეთა თვისთა ერთგულება, ვინაიდგან მცირდითა ნიჭითა (საჩუქრით) გამაპმადიანდებოდნენ და აქნდათ როკი (ჯამაგირი) ყენისაგან, შემყვარე იყვნეს უფლის საუფლის დიდებისა, ვიდრელა სუფევისათვის ჩვენთვის დაკლულისა ქრისტესა“?

— ესენი იყვნენ ქართლის თავადები: იასონ არაგვის ერისთავი, ქამარბეგ, მელიქი ერეკლე, რომელსა ზრდიდა მეფე ვითარება ძესა, ძმანი მაჩაბელნი... „ესენი უდებოდნენ და-ლატად მეფესა“.

— ვინ უდალატა ლუარსაბს, სვიმონს, ერეკლეს ალაპა-მაღანის შემოსევის დროს? ვინ გაყიდა შვიდ გუდა ოქროდ ლუარსაბ მეორე და საქართველო? ვინ გაყიდა... მაგრამ კმარი.

— ვინ ლალატობდა მე-XV საუკუნილგან დედა ქალაქ ცხევის საყდარს?

— სხვა-და-სხვა კუთხის ეპისკოპოსები“...

რას იტყვით თქვენ ბერის გულწრფელობაზე ზაქიქამიათა უმწეო მფარველნო, ბ-ნო პლებსნო, თბილისელნო, გარე-ჯელნო, ბზიქნო და ძმანო მათნო?

*

ერთ გულწრფელობას მეორეც თან მიაყოლა „ივერიამ“. კარგითაც უფიქრია. თუ რამ სისულელე დარჩა, სიქვას ახალ

წლამდე, რადგან ახალი წლისთვის სხვები ლასკირდება, ის გებაჯალლოც: „ივერიის“ 270 წ.-ს საომარ წერილში: ვკითხულობთ: „მას აქეთ, რაც „ივერია“ განხილული (განკურნებული), მკითხველიც მოემატა. მკითხველის მომატება ლურჯებათ, გაზეთისათვის უპირველესი ჯილდოს (sic!) და მაშასადამე ბედნიერებაცო“.

„ივერია“ „განახლებულა“, იხარე, გულო!

„ივერია“ გაბედნიერებულა, მოკედი, მტერო!

მაგრამ ამის ახსნა საჭიროა. „მას აქეთ, რაც „ივერია“ განახლდა... ბედნიერება“... ეწიაო, მაშასადაცე განახლებამდე 25 წლის განმავლობაში „ივერია“ უბედური ყოფილა. ეს ჩვენ რო გვეოქვა, სამშობლოს ღალატს დაგვწამებდენ. „ივერია“ ენაზე პილბილს დაიყრიდა. მადლობა ღმერთს, თვითვე აღიარეს, რომ ძლივ გავედნიერდით უბედურნიო. აღიარეს, მაგრამ ამით გაროზგეს საწყალი მათუსალი მათუ-სალისავე ყავარჯენით.

ახლა ვიკითხოთ, რაში გამოიხატება „ივერიის“ განახლება?

თუ ვსთქვით, რო მან თავი დაანება კიბოსთან აღებ-მიცემობას და პროგრესის გზაზე სუკ-სუკით გადადისო, ან თუ ვსთქვით, რო მიატოვა სამშობლოს მძინარე დარაჯობა, წყალ გადაგდებულ წისქვილის რაკი-რუკი, სხვათა უშვერი ლანძლვა-ძება, გინება და საღაც ჯერ არს ურიკ-ურიკი; ეს ხო „ივერიის“ მთელი შეურაცხყოფაა, ეს ხო მის ხელიდან მის სათაყვანო ბაირალის გაგდებაა, არა ჩვენ ამ ცოდვას ვერ ჩავიდენ! მაშ რით დავეხმარნეთ „ივერიას“ მკითხველებისათვის გამოკანის ახსნაში? მით რომ ვაუწყოთ განდიდება „ივერიის“ ფორმატისა სიგდე-სიგანი!

მაგრამ ვაი, რო თავის დასიება ტვინის მომატებას არ ნიშნავს!

რაც შეეხება „მკითხველის“, ე. ი. ქანქარის. „მომატებას“, ესეც ანგარიშია: საიდამ დაიწყო თვლა მომატებისა, რა იყო ჯამი? სამს მოემატა თუ ოთხს?

მაინცა და მაინც ვულოცავთ „ივერიას“ ახალი წლის ხელის მომწერთა წინაშე ბავშვობანას და კუნტრუშს!

*

იმავე „ივერიის“ იმავე საომარ წერილში ვკითხულობთ: გაზეთები „ბაკ. ივერია“ და „არმანავთ“-ი-ი, ეს ახლათ გამოხეკილი წიწილები, რომლებსაც ჯერ რიგიანათ პირიც ვერ დაულიათ, ჩვენს „ივერიას“ აბრალებენ ერთა შორის მძულვილების ქადაგებას. იმავე აზრისა ბრძანდაბიან „ცნობ. ფურცლის“ რედაქტირა და სომხური გაზეთი „ნორდარი“. სწორეთ საბრალოა ერთი ანგელოზი ამდენ ტარტაროზებში!

ის საბუთებსაც თხოულობს. თქვენმა უმორჩილესმა მნამ ამის შესახებ ამ ზაფხულ კიდეც წარუდგინა ამგვარები, მარა ახლა კი, სწორე მოგახსენოთ, აღარ მცალიან კედელზე ცერცვი ავათამა შო.

*

სწორე მოგახსენოთ, ჩემთვის სულ ერთია გვარამაძე არ ეშვება „მოგზაურს“ თუ „მოგზაური“ არ აძლევს შვებას გვარამაძეს, მაგრამ ის კი ჩემთვის დიდი საინტერესოა მართლა, არ თავიანი ხალხის გურიაში თუ არა? ეს ეპვი დამიბა-და ბ-ნმა გვარამაძემ „მოგზაურის“ მეთერთმეტე და მეთორ-მეტე ნომერში. ავტორი „გურულ ცხოვრების სარკისა“ ასე გვახედებს საარაკო შუშაში: გურული „თავის ხელით არ ამცნებს სხვას (ე. ი. ვულდაფარული), ხრიკით მოხრი-კული მოხერხებული გურული“, სწერს ის ერთგან, არ ვიცა რომელ ენაზე.

„გურული ყოლისფერში პირადია და არ უყვარს და-

ფარული და დაზეწრული, სულ ნათელი და ცხადი ურჩევნია მასთაც. იმტვრებს ენას იგივე გვარამაძე კოტა ქვევით.

აბა ეხლა თქვენ მიხვდით, რომელი მათგანია აქ გურული, ხრივით მოხრიული თუ პირდაპირი? თუ დაუჯვრეთ გვარამაძეს, გურული ორ თავიანი ყოფილა. ერთი თავი ნათელია, მეორე კი ბნელი.

„გურულს სული ცხვირში აქვს და სისხლი კი თავშიო“ გვასწავლის იგივე ავტორი იმავე წერილში. მაშასადამე გურიაში მიქელ-გაბრიელიც ცხვირებზე ნაღირობს, ვინაიდან სულის საბუდარი გურულისა ცხვირში ყოფილა. რაც შეეხება თავს, იქიდან სისხლს ტვინი გაუდევნია! ესეც ერთი უბედურება გურიაში!

იმავე „გურიაში მარტო გურული ცხოვრობს“. სხვა კაცი ვერ მოდის გურიაში, რადგანაც არ იცის (ამ სხვამ) რა ეწყინება და რა ეძება გურულს; თვიოთნ კი უნდა ფრთხილობდეს (ე. ი. სხვა კაცი) საწყენი არ შეახოს ვინმეს, რომ იმ საწყენით კუჭი არ მოუყვანოს, რომელსაც ცული შედეგი მოვყებაო“.

როგორც ხედავთ, დიდათ საპატიო მიზეზი მოყავს გვარამაძეს, რომლის გამო „გურიაში მარტო გურულებს უცხოვრიათ“, ეს მიზეზი გურულის საფრთხილო კუჭი ყოფილა. „სარკვა“, მაშ რა ჯანაბაა!.

რიგოლეტო.

შილლერის ბოეტის მირითადი თვისტებანი.

(შემდეგი *).

მთელს პიესაში ვერრინა მეტათ საყურადღებო პირს წარმოადგენს. მას წვერი უკვე გაქაღარავებული აქვს, ბეერი ბერძოლი, ბეერი სისხლის ლერა განუვლია და ბეერი მთავარი უნახავს, ბევრგვარ მართველობას მოსწრებია და სიბერის უამს სამი მცნება გამოუტანია ცხოვრების დაკვირვებიდან: 1) თავისუფლება ვერრინას აზრით აუცილებელი პირობაა, ურმლისოთაც როგორც კერძო პიროვნების, ისე მთელი ერთს ბედნიერება ყოვლათ შეუძლებელია; 2) ყოველი მთავარი, ყოველი მეფე—რაც უნდა მრავალი ლიტებით იყოს ის შემკული, ყოველგვარი მართველობა, რომელიც ერთი პირის ხელშია შეგროვილი, ხალხის თავისუფლების მტერია და ამით მტერია ხალხის ბედნიერების; 3) აქედან თავისთავათ ცხადია სიც, რომ 3) თუ ხალხს უნდა ბედნიერი იყოს, მან თვითონ უნდა იყისროს თავისი თავის მეფობა. ვერრინას აზრით პიროვნება, საზოგადოება და ური უნდა იყვნენ სრულებით თავისუფალნი. თუ რას ნიშნავს, რაში უნდა იხატებოდეს პიროვნების თავისუფლება, ამის შესახებ ვერრინა აზაფერს გვეუბნება; ეს კითხვა ნათლიათა აქვს გარკვეული შილლერის შეორები პირს, მარკიზ პოზას „დონ-კარლოს“-ში. ერთს თავისუფლება ვერრინას აზრით უნდა იხატებოდეს რესპუბლიკაში, საზოგადოებრივი თავისუფლება კი იმგვარ პოლიტიკურ წყობილებაში, სადაც ყოველგვარი უფლება, მთელი მართვა-გამგება უმრავლესობის ხელშია და არა უმცირესობის ხელში.

ვერრინას აზრით ერთ პირს მართვა-გამგება არასოდეს არ უნდა ანდოს საზოგადოებამ, რადგანაც ყოველ პირს, რა მედგარი დამტვრელიც უნდა იყოს ის საზოგადოებრივი ინტერესების, უფლებანი და უპირატესობა რყენის. რა საბუთი აქვს ვერრინას, რომ ისე ფიქრობს? საუცხოვო საბუთს მისთვის ფიესკოს მთელი ფსიხოლოგია წარმადგენს. როდესაც ფიესკო მამულის განთავისუფლებისათვის ფიქრია და ზრუნვას შეუდგა, თვისი თავი მას სრულებით არ ახსოვდა, მისი ოჯნება—თავისუფლი გენუა იყო. „გენუა, შენ იყავ

*). იხ. „კვალი“ № 51.

თავისუფალი და მე კი შენი საუკეთესო მოქალაქე ვაქნებორა“, მშობლი ხოლმე ფიესკო თავის გულში. ფიესკო არა წერ-ლებრივი ღირსებით იყო ბუნებისაგან დასაჩურებული, მაგრამ ამ იშვიათმა პირმაც კი ვერ შეიკავა თავის მშენებელი სიმაღლეზე: რაც უფრო აღსრულებულ მწყარდება მისი ოცნება, მით უფრო იზრდებოდა ფიესკოს საკუთარი „მე“, მით უფრო მეტ ალაგი იქცრდა მის გულში საკუთარ ბედნიერებაზე ფიქრი და ზრუნვა. დაროდესაც მამულის „განთავესუფლებაში მას აღარიავითარი ეჭვი არა ქანდა, მან თავისი თავი გენუის ჰერცოგიან გამოცხადა. ამგვარათ ფიესკომ დაიწყო მამულის განთავისუფლებით და დაბოლოვა მამულის დამონავებით განა ეს უნდოდა ფიესკოს, განა ამას ოცნებობდა, ამას შეტროფოდა ის? არა და არა! ფიესკო გულწრფელი იყო, ღროდესაც ამბობდა: გენუა, მხოლოდ შენ იყავი თავისუფლი და მე კი შენი მოქალაქე ვიქენებიო; მას არ ახსოვდა თვისი თავი, მას გულწრფელიათ უნდოდა მამულის განთავისუფლება ყოველგვარი ბატონისაგან, მაგრამ ფიესკომ რა ქნას, თუ რომ

გული გრულია ქაცისა
სარბი და გაუძღვომელი!

ფიესკო რა შეუშია, თუ რომ ეს ოხერი ბატონობა ყოველ ადამიანს თავისკენ იზიდავს!

ჩაუგდეთ ფიესკოს ხელში ბატონობა, დასვით ის გენუის მთავრათ; რას იზამს ის ამგვარ შემთხვევაში? ამის პასუხს მისი უკანასკნელი ნაბიჯი გვაძლევს. როდესაც მას საშუალება მიეცა მთავრათ გამხდარიყო, დიდი ბრძოლი არ დასჭირებია მას თავისი საკუთარ თავითან: მყისვე უარყო სისხლით მოპოებული თავისუფლება თავის სასარგებლოთ; როდესაც ის უკვე მთავარი იქნებოდა და სრულად მცნებანებელი—თვით-მჴრობელი, ეჭვს გარეშე თვისი ადგილის შესარჩენათა და გასაძლიერებლათ დევნას დაუწყებდა თავისუფლების ყოველგვარ გამომქავნებას, ყოველ ნიშან-წყალს თავისი სახელმწიფოში. ამის შემხედვარე ვერრინას არ შეუძლია არ თქვას, რომ ყოველი მეფე: რა დიდი ღირსების პატრონიც უნდა იყოს ის, მტერია თავისუფლებისო. მეფე და საზოგადოებრივი თავისუფლება ვერრინას თვალში ერთათ წარმოუდგენელია; იდეა მეფისა უარყოფა თავისუფლების იდეის და თავისუფლება მხოლოდ იქ არის, ვერრინას აზრით, სადაც თვით ხაოხი თვისი თავის მეფე. აიიტომ თუ ვერრინა უყოყმანოთ კლას თავის ძეირთას მეგობარს, ამაში მას ვერავინ ვერ გაამტკუნებს, რადგანაც მისი მოქმედება სრულებით პატრიოტიკური და საზოგადოებრივი თავისუფლება მას მიაწნა უმთავრეს პირობათ, რომლის გარეშე მას არავითარი ბედნიერება არა რწმას; თავისუფლების მოპოება და შერჩენა უცილოთ ითხოვს მეგობრის მოკვლას; ან მეგობარი ან თავისუფლება,—სხვა გზა ვერრინას არ დარჩენია და, თუ მთელი ერთს ბედნიერებას ის მაღლი აყენებს კერძო პირის ბედნიერებაზე, ეს მხოლოდ მისი ბუნების პატიოსნებას და მისი რწმენების სიღიადეს ამოწმებს.

ამგვარსავე პოლიტიკურ საოჩეულზე არის აგებული შილლერის შეორება პიესა— „დონ-კარლოსი“. ესპანეთის მეფეს ფილიპე მე-II-ს ყავს შეილი დონ-კარლოსი, რომელიც მემკვიდრეა სამეფო ტახტის. ის სწავლობდა და იზრდებოდა მარკი პოზასთან ერთათ; სწავლის დამთავრების შემდეგ შეგობრები ერთმანეთს დაშორდენ; დონ-კარლოსი სასახლეში დაბრუნდა. პოზამ კი ევროპაში მოგზაურდა განიზრა. პოზა და მისი მიზანებით უფლებარი და უფლებელი ფიესკოს მთელი ფსიხოლოგია წარმადგენს. მისი მიზანია ადამიანთა ბედნიერება; მას უნდა შექმნას ისეთი სახელმწიფო, სადაც მისი იდეალები სრულ განხორციელებას პოეტიკურ, და ამ მიზნით ცდილობს ფლინდრიის განთავისუფლებას ესპანეთის ქვეპრის.

დომობისაგან. ფლანდრიის განთვისუფლება მას უნდა დონ-კარლოსის დახმარებით. ამგვარი დახმარება პოზასთვის, ორ-გზით არის საჭირო: ფლანდრიის მცხოვრები დონ-კარლოსი განსაკუთრებით უყვართ; მხოლოდ დონ კარლოსს „შეუძლია, ისინი აამხედროს მეფის წინააღმდეგ; გარდა ამისა დონ-კარლოსი ქსპანეთის ტახტის მემკვიდრეა და ამავე დროს პოზას შეეგობარი, მასი იდეების თანამეტებობელი; მაშასადამე ფლანდრიის ში დონ-კარლოსი იქნება მშოლოთ პოზას აზრების განმახორციელებელი, ურლიბეს სიკვდილის შემდეგ ის იქნება უდიდესი სახელმწიფოს მპყრობელი და მაშინ პოზას იდეალებს, მის რწმენას ფართო „ესპარეზი დაეთმობა. როდესაც მოგზაურობის შემდეგ პოზა სასახლეში ბრუნდება, შემდეგ სურათს ხედავს: დონ-კარლოსს უყვარს თავისი ახალგაზრდა დედინაცვალი, კარის კაცებს ხელთა აქვთ ამის უტყუარი საბუთები, მეფეს უკვე ეპვი აქვს იღებული; მეფე სასტიკია, კარის კაცებს კი დონ-კარლოსის დაღუბვა უნდათ, რადგანაც ის მათის სიტყვით „ავისუფლებას ეტრუსი და ტახტისათვის არ ვარეგა“ . დღეს თუ ხვალ მეფე ყოველისფერს გაიგებს და ამგვარათ დონ-კარლოსს დაღუბვის მეტი არაფერი არ მოედის. პოზამ როგორმე უნდა გადაარჩინოს თავისი ძეირთასი მეგობარი. სხვა და სხვა მოხერხების წყალობით მან მეფეს ხელში ჩაუგდო იმის საბუთები, ვითომ მას უყვარდა დედოფუალი და არა დონ-კარლოს; მაგრამ პოზა თვითონვე გაება თავის მიერ გაბმულ ქსელში; მეფემ ის თავის ხელით მოჰკალი. ბოლო დროს პოზა თვითონვე ხედავდა კარგათ, რაც მოელოდა მას, მაგრამ მეგობრის გადასარჩენათ სხვა გზა აღარ იყო. მეგობრის სიკვდილით გამწარებული დონ-კარლოსი ატყობიებს მეფეს საქმის ნამდვილ გარემოებას; ფილიპ II დედოფუალის კლიხეს და შვილს კი ინკვიზიციას აძლევს საჭამებლათ. ამით თავდება პირს.

როგორც ერთ წერილში დავინახეთ, შილლერი დიდი თა-
ყანის შცემელი იყო მეგობრობასა და სიყვარულის. ორივე
ამ დაად გრძნობის ის უსულო საგანთაც შორისაც კი ხედავ:
და; მეგობრობა და სიყვარული მას ძირითად ელემენტებათ
მიაჩნდა, „დონ-კარლოს“-ში, პოტმა წარმოედინია საუც-
ხვეო მაგალითი მეგობრისათვის თავგანურიერისა: პოზა მსხვერ-
პლი წირავს თავის თავს ღონ-კარლოსს თუმცა მეგობრობას
შილლერი ფრიათ მაღლა აყენებდა და მეგობრისათვის თავის
დადებას ის ყოველი ადამიანისაგან ითხოვდა, მაგრამ საქვეყ-
ნო, საზოგადო ინტერესს ის მეგობრობაზე გაცილებით მაღ-
ლა აყენებდა. ჩვენი თავი მეგობარს უნდა შევწიროთ, ხო-
ლო მეგობარი საზოგადოებას — ის შილლერის ღრმა რწმენა; რესპუბლიკის მოტრფიალე ვერჩინა უყოყმანოთ შეწირავს
თავის სიცოცხლეს მეგობარს, ხოლო უყოყმანოთვე მოუს-
პობს სიცოცხლეს იმ მეგობარს, რომლისგანაც ერის თავის-
უფლებას და მასთან საზოგადოებრივ ბედნიერებას საფრთხე
მოელის. პოზა ის პოწინვალე პირია, რომელშიაც შილლერ-
შა სრულათა და გარკვევით ჩამოასხა თავისი პოლიტიკური
მოძღვრება. დონ-კარლოსი და პოზა ერთი-მეორის დამატება;
ორივე ქსენი ერთათ იგივე შილლერია: პირველი შილლე-
რის ნერვები, შილლერის ტემპერამენტი, ხოლო მეორე შილ-
ლერის სული, შილლერის აზროვნება. დონ-კარლოსის გულ-
ში მთელი სამყარო მოთავსდება პოზას სიტყვით; ის არის
გატაცებული, მოძრავი დაუდგრომელი ახალგაზრდა, მზაო
არის, მთელი სამყარო ბრძოლაში გამოიწვიოს, მაგრამ მას
კარგაო არა აქვს გამორკვეული და შეგნებული, თუ რას უნ-
და მოახმაროს თავისი ძალა-ლონე, ცხოვრებაში რა გზას უნ-
და დაადგეს. ის ითხოვს სრულე თავისი უფლებას პიროვნებისა-
თვის, მას კანონიერათ მიაჩნია პიროვნების ყოველგვარი სურ-
ვილი, პიროვნების ბედნიერება მას ყველაზე უფრო რწამს და
ამათ ბევრში წააგავს კარლოს მოორის: მასავით ისიც ნაზი
და აღზნებული ნერვების პატრონია, ისიც მასავით გულჩი-
ლი და დაუდგრომელია, მასავით დაუდუღებელი და საბო-
ლოოთ გადაჭრილ რწმენებს მოკლებული. სულ სხვაა პოზა.
„ჩვენი დრო არ მომწიფებული ჩემი იდეალებისათვის, მე მო-
მავალ საუკუნეთა მოქალაქე ვარო“, თამამათ უცხადებს ის
მეფეს. როგორია მისი იდეალები? მისი იდეალების შესაგნებ-
ლოთ საჭიროა მისი გათვალისწინება, თუ როგორ უყრებს

მიძღვნია, მეფის მოსამსახურე ვიყოვთ. ამით რა უნდოდა მას ეთქვა? ის იმას კი არ ეუბნება მეფეს: შენ—ფილიპე მეორეს ვერ გემსახურებიო, არა—ფილიპე რომ ბუნებით კეთილი და პატიოსანია—პოზა ამაში ეჭვიც არა აქვს,—ის აკადემებს: მე საზოგადოთ მეფის სამსახური არ მინდაო, და ამით აშეარით გვატყობიებს, რომ მას ყოველი მეფე ეზიზლება, როგორც ხალხის ინტერესების მტერი. თუ ყოველი მეფე მხოლოდ ეფოსტია, მხოლოდ თავის თავშე ფიქრობს და იმ უფლებებს, რომლებიც მას აქვს მინიჭებული, მხოლოდ თავის სასაზღვებლოთ და ხალხის საზარალოთ იყენებს, ადამიანი კი მხოლოდ საზოგადო ინტერესს უნდა იცავდეს, აქედან თავის თავით ცხადია ისიც, რომ ვისაც უნდა, ხალხს ემსახუროს, მან მეფის სამსახურს თავი უნდა დაანებოს. რატომ? აი რატომ. თავის მოხელეთაგან მეფე თავისუფალ მოქმედებას კი არ ითხოვს, არამედ მხოლოდ იმის აღსრულებას, რაც მას განუზრახავს, რაც მას ენებება; მეფეს კი მხოლოდ ის ნებავს, რაც მისთვის სასარგებლოდა; თავისუფლება, როგორც სიტყვის, ისე სინიდისისა და აზროვნების, მეფისათვის დამღუმველია და ამიტომ სასტიკათ ის დევნის მას; ყოველი მისი სურვივილი იქინება არის მიმართული, რომ ხალხი რაც შეიძლება დააბეჭიოს, დაიმონავოს, თავისუფლების წყურვილი, დამოუკიდებელი მოქმედების უნარი მასში სრულებით აღმოფხვრას; ამიტომ ყოველი ადამიანი, რომელიც კი მეფეს ემსახურება, ხალხის მტერია; მეფესთან ერთათ ის ხალხის პროგრესის, ხალხის თავისუფლებასა და მასთან ერთათ ხალხის ბედნიერებას ებრძევის. თუ კი მეფის ინტერესი და ხალხის სარგებლობა ერთი მეორეს ეწინააღმდეგება, აქედან თავის-თავით ცხადია, რომ ხალხისათვის მეფე არა თუ საჭირო არ არის, მხოლოდ მავნებელია და ამიტომ როგორც ხალხი, ისე ხალხის მოკეთე იმას უნდა ცდილობდენ, რომ მეფე თავიდან მოიშორონ. პოზას რწამს მხოლოდ ისეთი პოლიტიკური წყობილება, სადაც არავითარი მეფე არ არის და ყოველგვარი უფლება თვით ხალხის ხელშია, თვით ხალხია თავისი თავის მეფე და პატრიონი. მხოლოდ ამგვარ პოლიტიკურ წყობილებაშია ადამიანი პედინერი. ამგვარ პოლიტიკური წყობილების განხორციელებას ემსახურება პოზა და თავის იდეალს სწირავს თავის სიცოცხლეს. ძირს მეფე! გაუმარჯოს შრომის, სიტყვის, აზრისა და სინიდისის თავისუფლებას, გაუმარჯოს ხალხის მეფებას, აი რა გვაუწყა შილლერმა დიადი და ბრწყინვალე პოზას სახით.

არის ისეთი მოქნეტები, როდესაც პოზას რწამს: მოვა ისეთი დრო, როდესაც ხალხის ბედნიერება და მეფის ტახტი ერთომეორის წინააღმდეგნი აღარ იქნებინო, მაგრამ აქ ულოდეკობა ან თავის-თავის წინააღმდეგობა კი არ არის; არა—მომავლის მეფე, მომავალი დროის მთავრობა პოზას სრულებით სხვანარია ესმის: ის ლ: რწმუნებულია, რომ მომავალში მეფეთ ერთი ადამიანი კი არ იქნება, არამედ თვით ნალხი იქნება თავისი თავის მმართველი და პატრიონი; მაშინ, რასაკვირველია, ხალხის ბედნიერებას აღარავითარი მტერი აღარ ეყრდნობა მეფის სახით.

ავერ ასი წელიწადი გადის მას შემდეგ, რაც შილლერმა შექმნა პოზას უკვდავი სახე. მაგრამ პოზას აზრები დღესაც სრულ და მასთან დღესავით ცხად კეშმარიტებას წარმოადგენო. მართლაც და ვისოფის არ უნდა იყოს ცხადზედ უცხადესი, რომ ხალხი მხოლოდ მაშინ მოიპოვებს კვეყნათ შესძლებელ ბედნიერებას, როდესაც ის მოიხვევავს სრულ თავისუფლებას, უარყოფს ყოველგვარ მთავრობას და თვითონ გახდება თავისა მეფეც და თავისი პატრიონიც. შილლერის აზრებში არც ისეთი ურევია რამე, რომ მოელ საუკუნეს არ შეძლებოდეს მისი გრძელება; მაგრამ მიიხედვე გარშემო, მკითხველო, და მეტაც შენს თავს დაეკითხე: სიცრუეა ყოველივე ის, რაც შილლერმა გვაუწყა პოზას სახით, თუ სრული კეშმარიტება? თუ სიცრუეა, რათ ხიბლავს ის ამდენათ შებორკილ ადამიანს, რათ იზადავს ის თავისკენ ადამიანის სულსა და გულს, რათ ბრწყინვავს ის ასე სპეციაკათ? თუ კეშმარიტებაა, რას მიუკიდეს ძილისათვის თავი, რატომ არ შეიგნებენ ამ კეშმარიტებას და სხვასაც არ შეაგნებებენ?! რატომ, რატომ?!

ერთ ადამიანს თუ შეუძლია ხალხის დამონავება, ნუ თუ მთელ ხალხს არ ძალუს ერთი მტარვალის ძლევა? დორ მოვა, ხალხი გამოილვიდებს და მოითხოვს თავის წმინდა უფლებებს, ეუბნებოდა პოზა ფილიპე II-ეს, ეუშვიჩენდა შემოქმედების გერმანიის მთავრობას. დრო დიდი ხალხი წმინდა უფლებების გერმანიის მთავრობას. დრო დიდი ხალხი წმინდა, ადამიანურს უფლებებს? რატომ, რატომ?!*)

ი. გომართელი.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლის.

განცხადებანი.

იოსეზ ივანეაზვილის გამოცვა, № 21.

პ. გომომცის

12 მოთხოვთ, იგ. გომართლის კრიტიკულ-ბიოგრაფიული წერილით. ფასი 60 კაპ. იყიდება გამომცემელთან (თფილისში, ალექსანდრეს ბალის პირზაპარ) ფასტრის აღქენები: თიფლის, ქართველი, თეოდორი, ივანე იმედაშვილი, ანგელი გამოცვა, ამიტომ ყოველი ადამიანი, რომელიც კი მეფეს ემსახურება, ხალხის მტერია; მეფესთან ერთათ ის ხალხის პროგრესის, ხალხის თავისუფლებასა და მასთან ერთათ ხალხის ბედნიერებას ებრძევის. თუ კი მეფის ინტერესი და ხალხის სარგებლობა ერთი მეორეს ეწინააღმდეგება, აქედან თავის-თავით ცხადია, რომ ხალხისათვის მეფე არა თუ საჭირო არ არის, მხოლოდ მავნებელია და ამიტომ როგორც ხალხი, ისე ხალხის მოკეთე იმას უნდა ცდილობდენ, რომ მეფე თავიდან მოიშორონ. პოზას რწამს მხოლოდ ისეთი პოლიტიკური წყობილება, სადაც არავითარი მეფე არ არის და ყოველგვარი უფლება თვით ხალხის ხელშია, თვით ხალხია თავისი თავის მეფე და პატრიონი. მხოლოდ ამგვარ პოლიტიკურ წყობილებაშია ადამიანი პედინერი. ამგვარ პოლიტიკური წყობილების განხორციელებას ემსახურება პოზა და თავის იდეალს სწირავს თავის სიცოცხლეს. ძირს მეფე! გაუმარჯოს შრომის, სიტყვის, აზრისა და სინიდისის თავისუფლებას, გაუმარჯოს ხალხის მეფებას, აი რა გვაუწყა შილლერმა დიადი და ბრწყინვალე პოზას სახით.

1903 წელის

გაზეოთ „ივერიის“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორათც დღემდე გამოდიოდა, ფასი გაზეოთისა მთელის წლით ისევ თუმანია. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება.

კანც ახლავე დაიბარებს გაზეოთს მერმისთვის და ერთ თუმანის წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნოემბრი შექმათ გაეგზავნება.

ს კ ლ ი ს-მ თ წ ე რ ა მ ი დ ე ბ ა :

ტფილისში: — „ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვალი № 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავაზნაურ. ქარვასლი).

ქუთაისში: — ბევერინიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიებში, ქუთ. წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, აგრეთვე სასიკურო მერკვილადესთან.

ბათოშვი: — ნიკოლაძის უურნალ-გაზეოთების სააგენტოში და ქელიძის წიგნის მაღაზიაში.

ფოთოში: — ავესენტი ისიდორეს ქებილუასთან.

ბაქტში: — ხილდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).

ზესტაფიშვილში: — (ყვირილიშვილი): ივანე დავითის ქესაყვარელისთან.

საბუნებებში: — პეტრე მაჟავარიანთან.

შერაბანშვილში: — პართენ ნასიძესთან.

განჯევშვილში: — სოფრონ კანდელაკონ (სადგურზე).

გარეშემი: — ანტონ კასრაძესთან.

განცხადება: — ბრწყინვალ გვერდზე — 10 კაპ. სტრ., მეოთხე — 6 კაპ. მთელი გვერდი გაზეოთისა ცალკე მორიგებით.

12 თვ. 10 მ., 11-თ — 9 მ. 50 კ., 10-თ — 8 მ. 75 კ.,

9-თ — 8 მ., 8-თ — 7 მ. 25 კ., 6-თ — 8 მ. 50 კ., 5-თ — 5 მ.

50 კ., 4-თ — 4 მ. 75 კ., 3-თ — 3 მ. 50 კ., 2-თ — 2 მ.

75 კ., 1-თ — 1 მ. 50 კ.

საფოსტო აღრესი: თიფლის, რედაქცია „Иверия“.

*) ამ წრილის დასასრული, რომელიც წარმოაღეს გამოცვალებას, სტატუსს, დაიბეჭდება მომავალ წლის ნომ.